ᲧᲗᲓ.ᲗᲒᲔ.-1
Თ-384

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნიკოლოზ ალექსის ძე ოთინაშვილი

ლიახვის ხეობის ონომასტიკა

10.02.01-ქართველური ენები

ავტორეფერატი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თ ბ ი ლ ი ს ი
1997

ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: *ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი* ზ. ჭუმბურიძე

საბჭოს ექსპერტი: *ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე* ალ. ღლონტი

ოფიციალური ოპონენტები: *ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი* თ. უთურგაიძე

Библиотека Тбилисского гос. педагогического института иностранных языков им. И. Чавчавадзе

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯ. გვასალია

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი უ. სახლთხუციშვილი

წამყვანი ორგანიზაცია: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

დისერტაციის დაცვა შედგება ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის P 10.02 CN6 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე 1997 წლის 18 ივნისს 3 საათზე

380028, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი №1
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ავტორეფერატი დაგზავნილია 1997 წლის 12 მაისს

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (მაღლივი კორპუსი)

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, პროფესორი /გ. წიბახაშვილი/

— 1546 —

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ნაშრომის აქტუალურობა. ლიახვის ხეობა წარმოადგენს შიდა ქართლის ცენტრალურ ნაწილს, რომელიც მოიცავს ისტორიულ სამაჩაბლოს, სავახტანგოს, საფავლენიშვილოს და სხვა. ამ მხარის ტოპონიმია ფრიად საინტერესოა როგორც ენათმეცნიერული, ისე ისტორიული, ეთნოგრაფიული თუ პოლიტიკური ასპექტებით.

აღნიშნული რეგიონი ამჟამად ძირითადად ქართველებითა და ოსებით არის დასახლებული. ქართველები ცხოვრობენ მეტწილად ბარის სოფლებში, ოსები კი მთის სოფლებში. ეს გარემოება დამატებით სირთულეებს ქმნის ამ მხარის ტოპონიმთა აღნუსხვისა და შესწავლის საქმეში, რადგან გვიან მოსული ხალხი ყოველნაირად ცდილობს წაშალოს ძველი, აბორიგენი მოსახლეობის კვალი და როგორმე დაასაბუთოს საკუთარი პრეტენზიები ამ მიწა-წყალზე. ასეთ ვითარებაში საკვლევი რეგიონის ტოპონიმთა სრულად და ზუსტად აღნუსხვა განსაკუთრებით საშურ და გადაუდებელ საქმედ უნდა იქნას მიჩნეული.

ნაშრომის მიზანია ლიახვის ხეობის ტოპონიმთა და ჰიდრონიმთა რაც შეიძლება სრულად აღნუსხვა და ენათმეცნიერული ანალიზი, რაც აუცილებელია ისტორიული ჭეშმარიტების დასაცავად და დასასაბუთებლად.

ნაშრომის სიახლე და მეცნიერული ღირებულება. ლიახვის ხეობის ტოპონიმია ადრეც ყოფილა მეცნიერული შესწავლის ობიექტი, მაგრამ ეს კვლევა-ძიება ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა და საკვლევი რეგიონი ამ მხრივ სრულად შესწავლილი არ იყო. ამჟამად ეს ხარვეზი, შეიძლება ითქვას, შევსებულია და სწორედ ამით განისაზღვრება სადისერტაციო ნაშრომის სიახლე და მეცნიერული ღირებულება.

კვლევის ძირითადი შედეგები. ხანგრძლივი საველე მუშაობის შედეგად შესაძლებლობის ფარგლებში სრულად არის აღწერილი დიდი და პატარა ლიახვის ხეობის სამოცზე მეტი სოფლისა და ნასოფლარის ტოპონიმები და ჰიდრონიმები (სულ ორი ათას სამასი